ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# გადაწყვეტილება №7026895

ნომერი: AR11026979

თარიღი : 01.04.2024

გაცემის თარიღი : 16.05.2024

გაცნობის თარიღი : 18.05.2024

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , სოფელი ლისი , ბურღის მიწის მიმდებარედ , სოფელი თხინვალა, იოსებ კეჭაყმაძის ქ. N2;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი არევაძე პ/ნ 35001117385
- რუსთავი ზ.ფალიაშვილის ქ. კორ. 4 ბ. 45

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება
- III კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

# გადაწყვეტილება

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 01/04/2024 წლის AR11026979 განცხადება.
სამსახურის 13/05/2024 წლის №7018327 გადაწყვეტილებით თქვენს 01/04/2024 წლის AR11026979 განცხადებაზე დადგენილ იქნა ხარვეზი და დაგევალათ 15 სამუშაო დღის ვადაში ხარვეზების გამოსწორება.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის შესაბამისად, თუ განმცხადებელი ადმინისტრაციულ ორგანოს არ წარუდგენს კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით გათვალისწინებულ რაიმე დოკუმენტს ან სხვა ინფორმაციას, რაც აუცილებელია საქმის გადაწყვეტისათვის, ადმინისტრაციული ორგანო განმცხადებელს განუსაზღვრავს ვადას, რომლის განმავლობაშიც მან უნდა წარადგინოს დამატებითი დოკუმენტი ან ინფორმაცია. თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარადგენს შესაბამის დოკუმენტს ან ინფორმაციას, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია გამოიტანოს გადაწყვეტილება განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ.
სამსახურის 13/05/2024 წლის №7018327 გადაწყვეტილებით დაგევალათ ზონაში დასაშვები ფუნქციების პროცენტულობის დაცვა, ასევე ამავე გადაწყვეტილებით ინფორმირებული იყავით, რომ წარმოუდგენლობის შემთხვევაში განცხადება დარჩებოდა განუხილველი. აღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან თქვენ მიერ არ იქნა გათვალისწინებული სამსახურის მიერ დადგენილი ხარვეზი, წარმოდგენილი განაცხადი დარჩება განუხილველი.
აღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან დადგენილ ვადაში არ განხორციელდა სამსახურის მიერ მოთხოვნილი დოკუმენტაციის წარმოდგენა, თქვენი 01/04/2024 წლის AR11026979 განცხადება დარჩა განუხილველი.

---

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.